აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში

01.09.1013-01.09.2014

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის ანგარიშში ასახულია 2013 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე კომისიის მიერ უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომისიის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომისიის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების სტატისტიკა, წარმოდგენილია კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეთა მიღებებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა

კომისიის შემადგენლობა

კომისიის თავმჯდომარე	გიორგი მასალკინი
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	აკაკი ძნელაძე
კომისიის წევრები:	თემურ კახიძე
	სვეტლანა კუდბა
	მერაბ აბაშიძე

კომისიის აპარატი

აპარატის უფროსი	ნაირა აბულაძე
თავმჯდომარის თანაშემწე	ზაზა ჩავლეიშვილი
მთავარი სპეციალისტი	ნატო აბუსელიძე
წამყვანი სპეციალისტი	ნონა ტაკიძე
უფროსი სპეციალისტი	ნინო ანთიძე

კომისიის სხდომების, მოქალაქეთა მიღებისა და განხილული კორესპონდენციის სტატისტიკა

- კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში მოწვეული იქნა 17 სხდომა, განხილული იქნა 45 საკითხი და შემუშავდა 41 დასკვნა.

კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში:

- **მიღებული იქნა 327 მოქალაქე;**
- **კომისიაში შემოვიდა და დამუშავდა 383 კორესპონდენცია;**
- **კომისიიდან გაიგზავნა 136 კორესპონდენცია.**

კომისიის თავმჯდომარე აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. არის სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:

- ხელვაჩაურის რესურსცენტრის თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- „აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის" კომისიის წევრი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს ხელშეწყობისა და შემდგომი განვითარების მიმართულებების დასახვის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- „თავისუფალი პროექტების" შესარჩევი კონკურსის კომისიის წევრი;
- „სტუდენტთა დახმარების" ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.
- პროექტების - „სწავლა საზღვარგარეთ", „სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა", „კონფერენციის ორგანიზება" ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი.

ასევე არის აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტის პროექტის შემუშავებისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი.

კომისიის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შეხვედრები და სხვადასხვა საქმიანობა

კომისიის თავმჯდომარე და წევრები:

სისტემატურად მართავენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განახორციელეს რამდენიმე საქმიანი მივლინება უცხოეთში. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

01.09. - 05.09. 2013წ.
გ. მასალკინი მიწვეული იყო ბელგიაში, ბრიუსელში, META ჯგუფსა და EURADA-ს მიერ კოორდინირებულ საგანმანათლებლო სესიის დასკვნით სხდომაზე, რომელიც ჩატარდა ENP-ს პროექტის ფარგლებში.
მონაწილეობდნენ: მოლდოვას, ტუნისის, მაროკოს, უკრაინისა და საქართველოს წარმომადგენლები. განხილულ იქნა საკითხი - როგორ ვაშენოთ რეგიონალური სტრატეგია. გაიმართა შეხვედრა პროექტში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებთან ბრიუსელში (მრგვალი მაგიდა).

22.09.2013 წ.
კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი იმყოფებოდა მოდერატურ შეხვედრაზე ქ. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში, სადაც ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თაოსნობით მოეწყო გამოფენა-კონფერენცია თემაზე ,,ძეგლებით თამაში''.

25.09.2013 წ.
კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინმა ქ. ბათუმის 18-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის წაიკითხა საჯარო ლექცია ტოლერანტობასთან დაკავშირებით.

27.09.2013 წ.
კომისიის თავმჯდომარე გ.მასალკინი დაესწრო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშის - ,,რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა, ბათუმის რეაბილიტაცია'' - პრეზენტაციას.

20.10.2013 წ.
კომისიის თავმჯდომარე გ.მასალკინი მონაწილეობდა USAID-ის ოფისში გამართულ დისკუსიაში - ,,ვის ეშინია სეკულარული დემოკრატიის". დისკუსია განხორციელდა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით.

19-21 ნოემბერი 2013 წ.
კომისიის თავმჯდომარე გ.მასალკინი მიწვეული იყო ქ. თბილისში ფრიდრიხ ნაუმანის ფონდ ,,თავისუფლებისათვის" მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე.

24.12.2013 წ.
კომისიის თავმჯდომარე გ.მასალკინმა კომისიის წევრ მერაბ აბაშიძესთან ერთად მოინახულა ზედა ჭარნალის სკოლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია.

19.01.2014 წ.

2014 წლის 19 იანვარს გ. მასალკინი მონაწილეობდა სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვის რეაბილიტირებული და ქობულეთის ახალაშენებული პირველი საჯარო სკოლების გახსნის ცერემონიალში.

02.02.2014 წ.

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი, კომისიის წევრებთან ერთად, ესწრებოდა აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ახალგაზრდულ დეპარტამენტში) სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრას და მოისმინა ანგარიში.

12.02.2014 წ.

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი კომისიის წევრებთან ერთად, მიწვეული იყო ორგანიზაცია ,,პირველი ნაბიჯი საქართველოს“ მიერ მომზადებულ - ,,ადრეული ჩარევის“ პროგრამის პრეზენტაციაზე. (,,პირველი ნაბიჯი საქართველო“ 1998 წლიდან ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. ორგანიზაციის საქმიოანობის შედეგად ასობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა დატოვა კასპის და სენაკის ბავშვთა სახლი, დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს, გაიარა სარეაბილიტაციო მომსახურება და შეძლო ინკლუზიური განათლების სისტემაში ჩართვა და სოციალური ინტეგრაცია. ,,პირველი ნაბიჯი საქართველო“ ყოველწლიურად წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა სახის ფსიქო-სოციალურ და საგანმანათლებლო პროგრამებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 250 ბავშვისთვის).

07.03.2014 წ.

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი კომისიის სახელით უმაღლეს საბჭოში მასპინძლობდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების საკითხებში ბატონ რაჰიმ პოურის.

19.03.2014 წ.

კომისია მასპინძლობდა უმაღლეს საბჭოში სტუმრად მყოფ - ევროპასთან ურთიერთობების საკითხებში ბრანდერბურგის ფედერალური მიწის ეკონომიკისა და ევროპასთან ურთიერთობების მინისტრის მოადგილეს ბატონ აქსელ ფონ ხორშელმანს, ბრანდერბურგის ფედერალური მიწის მეცნიერების კვლევისა და კულტურის სამინისტროს ბიუროს ხელმძღვანელ ბატონ რიკო იანკესა და ბრანდერბურგის

ფედერალური მიწის პარლამენტში მეცნიერების კვლევისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარეს ბატონ იენს ლიპსდორფს.

01.04.2014 წ

კომისიაში გაიმართა შეხვედრა ნორვეგიელ სტუმრებთან, სადაც განიხილეს ნორვეგიული მხარის (Erik Aarnes , Aase Haukaas Gjerde, Erik Aarnes) მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო-გაცვლითი პროგრამის გაფართოებისა და თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში წარჩინებულ ბათუმელ სტუდენტებს რამდენიმე წელია ნორვეგიაში, ქალაქ ტელემარკის უნივერსიტეტში უფასო სწავლის შესაძლებლობა აქვთ.

10.04.2014 წ.

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინმა ხელვაჩაურის ახალგაზრდულ ცენტრში სტუდენტი ახალგაზრდებისათვის ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე ,,თავისუფლება".

22-28 .04. 2014 წ.

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი მიწვეული იყო ლიბერალური ინტერნაციონალის 59-ე კონგრესზე ქალაქ როტერდამში.

5-10.05.2014 წ.

კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინი მიწვეული იყო ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ პრაღაში, პრაღის სიცოცხლის მეცნიერებათა ჩეხეთის უნივერსიტეტში, სადაც გაფორმდა ხელშეკრულება(მემორანდუმი). ამ ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს სტუდენტებსა და მაგისტრებს მიეცემათ საშუალება 6 თვით ან 1 წლის მანძილზე უფასოდ ისწავლონ მათთვის შესაბამის სპეციალობებზე. ამ ვიზიტის დროს შეხვდენენ: 1) აგრობიოლოგიის, კვების პროდუქტებისა და ნატურალური რესურსების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის პროფესორს მარია კაფკოვას; 2) ხე-ტყის რესურსების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს საერთაშორისო ურთიერთობებში პროფესორ ლუდეკ სუშაკს; 3)სიცოცხლის მეცნიერებათა ჩეხეთის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის ხელმძღვანელს პროფესორ იარომირ ნემეცის; 4) ტყის მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ ფრანტიშეკ ჰაფრანეკის.

24.06.2014 წ.

კომისიის ინიციატივით უმაღლეს საბჭოში გაიმართა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „სთეფ ფორვარდმა" წარმოადგინა სამთვიანი კვლევის შედეგები - სმენადაქვეითებული ბავშვების სრულფასოვანი განვითრებისა და განათლების დონის შესახებ. კვლევის მიზანს ამ კატეგორიის ბავშვების განათლების მდგომარეობის შეფასება, ჟესტური ენის მიღების ალტერნეტიულ მეთოდებზე მშობლების, პედაგოგებისა და ექსპერტების შეხედულებების შესწავლა და ერთობლივი რეკომენდაციების მომზადება

წარმოადგენდა. შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა თანახმადაც, ჟესტური ენის სწავლებისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური დაწყებითი კლასი, გადამზადდნენ სპეციალისტები, ყურსასმენი აპარატების მქონე ბავშვებისთვის შეიქმნას მცირერიცხოვანი ინტეგრირებული კლასი. „სთეფ ფორვარდი“ ამ რეკომენდაციებს აჭარის მთავრობას წარუდგენს.

04.07.2014 წ.
კომისიის თავმჯდომარე გ.მასალკინი ესწრებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს გამსვლელ სხდომას.

28.07.2014 წ.
კომისიის თავმჯდომარე გ. მასალკინმა დემოკრატიის ინსტიტუტთან ერთად პრობაციონერებისათვის ჩაატარა ფილმის - ,,ქუჩის დღეები“ ჩვენება და განხილვა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - აკაკი ძნელაძე 3-8 ოქტომბერს იმყოფებოდა ქ. თბილისში საქველმოქმედო ფონდ ,,ლირას“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე. შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების კულტურის ატაშეს - ჯეიმს დევეის.

ა. ძნელაძე 2013 წლის 17-23 დეკემბერს მიწვეული იყო პარიზში - 2014 წელს დაგეგმილი ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალისა და პარიზში ბათუმის დღეების ჩატარების საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კომისიის წევრი უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელდა რიგი შეხვედრები ამომრჩევლებთან.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი მასალკინი